

# ფოკუს ჯგუფის კვლევის შედეგები

თემაზე: საგარეო ურთიერთობები

NDI საქართველო  
ივნისი 2017

# მეთოდოლოგია

- ▶ საველე სამუშაოების თარიღები: 22-29 მაისი, 2017
- ▶ კვლევა ჩაატარა CRRC საქართველომ NDI-ის დაკვეთით
- ▶ სად: თბილისი, თელავი, ბათუმი, მარნეული და ახალქალაქი
- ▶ 2 ჯგუფი თითოეულ ქალაქში: ჯგუფები შედგებოდა შერეული ასაკის, სქესის და დასაქმების სტატუსის მქონე მონაწილეებისგან - სულ 10 ფოკუს ჯგუფი
  - ▶ მარნეულში ქალებისა და კაცების ჯგუფი ჩატარდა ცალ-ცალკე
- ▶ +/-10 მონაწილე თითოეულ ჯგუფში
- ▶ ფოკუს ჯგუფების შედეგები არ არის წარმომადგენლობითი(!)

## მონაწილეების შერჩევის პროცესი

CRRC-ის კოორდინატორები მიდიან ქალაქის რამდენიმე ცენტრალურ ადგილას, შემთხვევითად აჩერებენ ადამიანებს და სთხოვენ ჯგუფურ დისკუსიაში მონაწილეობას. მონაწილეობა ნებაყოფლობითა.

მონაწილეობის მსურველს ესმევა კითხვა:

- ❑ უყურებთ თუ არა ახალ ამბებს კვირაში სამჯერ მაინც (იმისათვის, რომ ადამიანი მოხვდეს ფოკუს ჯგუფში, პასუხი უნდა იყოს დადებითი)

# კვლევის თემები

- ▶ იდეალური საქართველო და ეროვნული საკითხები
- ▶ დემოკრატია
- ▶ განწყობები რუსეთის მიმართ
- ▶ განწყობები საბჭოთა კავშირის დაშლის მიმართ
- ▶ განწყობები ევროკავშირის/ევროპელების მიმართ
- ▶ განწყობები თავდაცვის მიმართ
- ▶ ანტი-დასავლური პროპაგანდა

წარმოიდგინეთ, რომ გაიღვიძეთ ერთ დღეს და ნახეთ, რომ საქართველო იდეალურია. როგორი იქნებოდა იგი? რა იქნებოდა განსხვავებული დღევანდელიდან ?

ტოლერანტობა  
უსაფრთხო-გარემო  
არანაირი-სიღარიბე  
ურთიერთობა-რუსეთთან  
დაბალი-გადასახადები  
ადგილობრივი-წარმოება  
ტერიტორიული-მთლიანობა  
დაცული-ბავშვთა-უფლებები  
სახელმწიფოს-დახმარება-უმუშევრებს  
**ყველა-დასაქმებული**  
თანაბარი-უფლებები-უმცირესობებს  
ხელმისაწვდომი-კვალიფიციური-ექიმები  
საშუალო-კლასი-მაღალი-ხელფასები  
არანაირი-ნეპოტიზმი-ჯანდაცვა  
ბედნიერი-ადამიანები-ნატო  
ძლიერი-ეკონომიკა-დაცვა  
დაცული-კულტურა-განათლება  
პარტი-განათლება

# რას ნიშნავს თქვენთვის დემოკრატია?

- ▶ ყველაზე ხშირად გაჟღერებული პასუხები: სიტყვის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება, თანასწორობა;
- ▶ დემოკრატიულ ქვეყანაში კანონის წინაშე ყველა თანასწორია, ადამიანის უფლებები დაცულია, ადამიანები თავისუფლად გამოხატავენ საკუთარ აზრს, ადეკვატურ ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობენ, ეთნიკური უმცირესობები ინტეგრირებულნი არიან დანარჩენ საზოგადოებაში;
- ▶ ყველა მონაწილე ფიქრობდა, რომ დემოკრატია მმართველობის ყველაზე სასურველი ფორმაა. გავრცელებული მოსაზრება: დემოკრატია არ არის იდეალური, თუმცა საუკეთესოა ალტერნატივებს შორის
- ▶ ზოგიერთი ადამიანისთვის დემოკრატია ასოცირდებოდა ქმედებების თავისუფლებასთან. აქედან გამომდინარე, ეს ადამიანები მიიჩნევდნენ, რომ შეიძლება არსებობდეს „ზედმეტი დემოკრატიაც“, რაც შესაძლოა ქაოსში გადაიზარდოს;

# არის თუ არა საქართველოში ამჟამად დემოკრატია?

- ▶ მოსაზრებები გაყოფილია (აპრილში ჩატარებულმა კვლევამაც ასეთი სურათი აჩვენა);
- ▶ ისინი, ვინც უფრო სკეპტიკურად უყურებდნენ საქართველოს დემოკრატიულობას:
  - ▶ ნეპოტიზმს ხშირად ასახელებდნენ, როგორც საქართველოში დემოკრატიისთვის ხელის შემშლელ ფაქტორს;
  - ▶ ბათუმის ჯგუფების მონაწილეები საუბრობდნენ სასამართლო სისტემისადმი უნდობლობაზე; ამბობდნენ, რომ თავს დაუცველად გრძნობენ;
  - ▶ ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებში ამბობდნენ, რომ დემოკრატიულ ქვეყანაში ეთნიკური უმცირესობა თავს არ უნდა გრძნობდეს მეორეხარისხოვნად. საქართველო დემოკრატია არ არის, მაგრამა ქვს დემოკრატიის ელემენტები
- ▶ ისინი, ვინც მიიჩნევდნენ, რომ საქართველო დემოკრატიაა:
  - ▶ საუბრობდნენ 2012 წლის შემდგომ პერიოდში სიტყვის თავისუფლების კუთხით მიღწეულ პროგრესსა და განვითარებაზე;
  - ▶ ისეთი მოსაზრებები, როგორიცაა „*საქართველო არ არის მზად დემოკრატიისთვის*“ ან „*დემოკრატია საქართველოსთვის შეუფერებელია*“ არ გაჟღერებულა არცერთ ჯგუფში;

# არის რუსეთში ამჟამად დემოკრატია?

- ▶ მონაწილეები გაიყვნენ ორ ნაწილად: ისინი, ვინც არ იყვნენ ჩამოყალიბებულნი ამ საკითხზე და ისინი, ვინც ამბობდნენ, რომ რუსეთში არ არის დემოკრატია. ძალიან ცოტა ადამიანმა თქვა, რომ რუსეთი დემოკრატიაა;
- ▶ რუსეთი არ არის დემოკრატია, რადგან: რუსეთში პოლიტიკური არჩევანის თავისუფლება არ არსებობს; ადამიანის უფლებებს არ სცემენ პატივს;
- ▶ რუსეთი დემოკრატიაა, რადგან: (მონაწილეების აზრით) რუსეთში კარგი ეკონომიკური მდგომარეობაა;
  - ▶ მოკლედ რომ ვთქვათ: რუსეთს ძლიერი ეკონომიკა აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი მთავრობა რაღაცას სწორად აკეთებს;
  - ▶ საყურადღებოა, რომ ეკონომიკურ კეთილდღეობას უკავშირებენ დემოკრატიულობას;

# პუტინი კარგი ლიდერია თუ ცუდი?

- ▶ მოსაზრებები გაყოფილია;
- ▶ რატომ არის პუტინი კარგი ლიდერი:
  - ▶ რადგან, ეკონომიკა ძლიერია, ხალხი კარგად ცხოვრობს - ეს ნიშნავს, რომ პუტინი და მისი მთავრობა სწორად მოქმედებენ;
  - ▶ რუსეთის მოქალაქეები მხარს უჭერენ პუტინის საგარეო პოლიტიკას;
- ▶ მონაწილეთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პუტინი დანაჩენი მსოფლიოსთვის ცუდი ლიდერია;

იმპერიალიზმის გამართლება: ბევრი მონაწილე ამბობდა, რომ ესმის, თუ რატომ აქვს რუსეთს ამგვარი საგარეო პოლიტიკა და ამბობდა, რომ საქართველოც მსგავს პოლიტიკას გაატარებდა, რუსეთით დიდი რომ ყოფილიყო;





# როგორია რუსი ხალხი?

- ▶ თავისუფალი (მონაწილეებს მოსწონდათ ეს თვისება)
- ▶ დღევანდელ დღით ცხოვრობენ (მონაწილეებს მოსწონდათ ეს თვისება)
- ▶ იციან, როგორ ისიამოვნონ/გაერთონ (მონაწილეებს მოსწონდათ ეს თვისება)
- ▶ საკუთარ თავზე ზრუნავენ (მონაწილეებს მოსწონდათ ეს თვისება)
- ▶ შურიანები;
- ▶ არასანდო;
- ▶ არამეგობრულნი;



ზოგადად, მონაწილეები ფიქრობენ, რომ რიგითი რუსი რიგით ქართველზე უკეთ ცხოვრობს;

- ▶ რატომ? ყველა დასაქმებულია და დიდი პენსიები აქვთ;

# რუსეთი და საქართველო

Relationship Status:

Interested in:

Looking for:

Single  
In a Relationship  
Engaged  
Married  
It's Complicated  
In an Open Relationship  
Widowed

- ▶ მონაწილეებს გაუჭირდათ ჩამოეყალიბებინათ, თუ როგორი ურთიერთობები აქვთ რუსეთსა და საქართველოს.
  - ▶ ქართული ოცნების პოლიტიკა მათთვის ბუნდოვანია;
  - ▶ მიუხედავად იმისა, ამართლებდნენ თუ არა ამ მიდგომას, მონაწილეთა უმრავლესობა ამბობდა, რომ ენმ-ს პოლიტიკა რუსეთის მიმართ იყო უფრო მკაცრი;
  - ▶ აღსანიშნავია, რომ ზოგადად პრო-რუსული განწყობების მიუხედავად, ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებში ამართლებდნენ სააკაშვილის პოლიტიკას რუსეთის მიმართ. ეს ჯგუფები, ზოგადად, დადებითად იყვნენ განწყობილნი სააკაშვილის მიმართ;
- ▶ რუსეთს უწოდებენ **ოკუპანტს** - ყველა ჯგუფში (ეთნიკური უმცირესობების გარდა);
  - ▶ პრო-დასავლური განწყობის მქონე მონაწილეები ფიქრობდნენ, რომ ურთიერთობების გაუჯობესება რუსეთის ხელშია და სანამ რუსეთი ოკუპანტად რჩება, ნორმალურ ურთიერთობაზე საუბარი ზედმეტია;
- ▶ რუსეთი აღიქმება, როგორც ეკონომიკური შესაძლებლობა; თუმცა მონაწილეთა უმრავლესობას სურს, რომ რუსეთთან ურთიერთობა მხოლოდ ვაჭრობითა და ტურიზმით შემოიფარგლებოდეს;
- ▶ წინა პერიოდებში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებთან შედარებით, ნაკლებად გაჟღერდა მოსაზრება, რომ რუსი ხალხისა და პოლიტიკის განსხვავება შეიძლება („რუსი ხალხი სხვაა და პოლიტიკა სხვაა“);

# ციტატები

- ▶ „რუსი დამპყრობელია, ყველგან, მთლიანად მსოფლიოში; დამპყრობელი ვერ იქნება დემოკრატიული ქვეყანა, ხო?“ - თბილისი, ქალი, 55, დაოჯახებული, დასაქმებული
- ▶ „საზღვრები მოდის და მოდის, ესაა მათი პოლიტიკა? საერთოდ არ რეაგირებენ ამაზე, ცოტახანში აგერ ჩამოვლიან ბათუმში, ესაა ამათი პოლიტიკა“ - ბათუმი, 35, დაოჯახებული, თვითდასაქმებული
- ▶ „რუსეთში არიან პუტინთან დაახლოებული ადამიანები ეკონომიკურად ძლიერად, დანარჩენები არიან უბრალოდ მშივრები.“ - თელავი, ქალი, 24, დაუოჯახებელი, დაუსაქმებელი
- ▶ „ხალხშიც შეცვლილია და აზროვნებაც [რუსეთში], აი ჩვენ თაობაში, ახალგაზრდა თაობაში [რუსეთში] უკვე შეიცვალა, ძალიან ბევრი რამ შეიცვალა, რომ იცოდეთ, ქართველების მიმართ ზიზღი აქვთ.“ – თბილისი, კაცი, 37, განქორწინებული, დასაქმებული
- ▶ „იმასთან შედარებით, რომ ოკუპანტია, ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს იმიტომ, რომ არავინ არაფერს არ ეუბნება და კიდე ხალხის ნაწილი კიდე იმახის და ექაჩება რუსეთისკენ „- თბილისი, ქალი, 21, დაუოჯახებელი, სტუდენტი

# ციტატები

- ▶ „ურთიერთობა უნდა გვექონდეს რუსეთთან იმიტომ, რომ მეზობელია, ძლიერია თვითონ ქვეყანა და უნდა გვექონდეს ურთიერთობა, ეკონომიური ურთიერთობა, რაღაც თანამშრომლობა უნდა იყოს. მარა ის, რომ შემადგენლობაში შევიდეთ, ისევ რაღაც კავშირში არ უნდა შევიდეთ.“ - თელავი, კაცი, 41, დაოჯახებული, დაუსაქმებელი
- ▶ „მე ვფიქრობ ესე, რო ოკუპანტია. ტერიტორიების საკმაოდ დიდი ნაწილი აქვს დაპყრობილი და ანუ დიალოგზე ალბათ უნდა წავიდეს ჩვენი ქვეყანა, ოღონდ ეს მთავრობა როგორც დიალოგზე მიდის, მასეთ დიალოგზე არა. ხანდახან ისევ მგონია, რო არანაირ დიალოგს არ ექნება აზრი. იმიტომ რომ, მაინც რუსეთს როგორც უნდა ისე გააკეთებს ყველაფერს. პრობლემა არ არის პუტინში, ვინც გინდა მოვიდეს ყველა ესე მოიქცევა. მე ესე მგონია, რო არ არის პრობლემა ერთი კაცი და იმის ხუმტური არ არის. ვინც გინდა მოვიდეს, ყველა ასე მოიქცევა, იმიტომ, რომ საქართველოს აქვს ძალიან კარგი მდებარეობა და აწყობთ, რო იყოს იმათ შემადგენლობაში. „- თელავი, ქალი, 23, დაქორწინებული, დაუსაქმებელი
- ▶ „მხოლოდ ეკონომიკური ტრანსფერებით რო შემოიფარგლებოდეს [რუსეთთან ერთიერთობა] და მეტი არაფერით, არც კულტურით და არც არაფრით. მარტო ეკონომიკური ურთიერთობა.“- ბათუმი, კაცი, 25
- ▶ „ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებული აქვს [რუსეთს], რა ურთიერთობაზე უნდა იყოს საუბარი? არ ვიცი, მე ძნელად წარმომიდგენია რაიმე ტიპის ურთიერთობა.“ – ბათუმი, კაცი, 30

# Back to USSR?



- ▶ რაოდენობრივი კვლევის შედეგების მსგავსად, ფოკუს ჯგუფების მონაწილეებიც ორად იყვნენ გაყოფილნი იმის თაობაზე, თუ როგორი მოვლენა იყო სსრკ-ს დაშლა საქართველოსთვის - კარგი თუ ცუდი;
- ▶ სსრკ-ს მიმართ დადებითი დამოკიდებულებების უკან დგას:
  - ▶ ეკონომიკური მიზეზები;
  - ▶ სსრკ: დასაქმება, ეკონომიკა, თავისუფალი მიმოსვლა მეზობელ ქვეყნებში, სტაბილურობა, დაცულობა;
  - ▶ უფროსი ასაკის მონაწილეებისთვის საბჭოთა ნოსტალგია უკავშირდება მათი ახლგაზრდობის ნოსტალგიას და არა იდეოლოგიას ან პოლიტიკურ შეხედულებებს;
  - ▶ მონაწილეთა უმრავლესობამ აღიარა, რომ სსრკ-ში იზღუდებოდა ადამიანის უფლებები; თუმცა, ეკონომიკურ სტაბილურობას უფრო მეტად აფასებენ;

**პოსტ-საბჭოთა ხანის უპირატესობები:** ტექნოლოგიები, განვითარება, სიტყვის თავისუფლება, საბანკო სისტემა, პროდუქტების დიდი არჩევანი, მოგზაურობის თავისუფლება, ბიზნესის კეთების თავისუფლება;

# ციტატები

- ▶ „დასაქმებული ვიყავით ყველა, არ გეშინოდა, სადაც გინდოდა გაფრინდებოდი, მიფრინდებოდი, მოფრინდებოდი, შიდა ტერიტორიებზე რა თქმა უნდა, მაგრამ ექსკურსიებიც იყო, საზღვარგარეთაც [...] მე კარგად მიცხოვრია, კარგი განათლებაც მივიღე და სადაც მინდოდა დავდიოდი.“ - თბილისი, ქალი, 55, დაოჯახებული, დასაქმებული
- ▶ „სავსე იყო მაღაზია, სავსე იყო ბაზარი, ფულის სესხება იყო ხალხო სირცხვილი, წარმოიდგინეთ! ამ ცხოვრებაზე როგორ უნდა თქვა, რომ ცუდი იყო?! მაგარი იყო, ოღონდ დემოკრატია [არ იყო], თავისუფალი რო ყოფილიყო ადამიანი, თავისუფლად რომ ელაპარაკა, თავისუფლად, მისი შრომით რომ შეესყიდა, აი ეს იყო შებოჭილი.“ – ბათუმი, კაცი, 45, დაოჯახებული, თვითდასაქმებული
- ▶ „მატერიალურად, შეიძლება უფრო მეტად ძლიერი იყო საქართველო, მაგრამ გვართმევდნენ ენას, გვართმევდნენ ტაძრებს, იგივე შუამთის ტაძარი აიღეთ, ალავერდის ტაძარი აიღეთ, მერე აღადგინეს და მერე ჩამოფხიკეს ის რაღაც საშინელი საღებავები. ყველაფერი გარუსებული იყო. ეს რამხელა დანაკარგი იყო საქართველოსთვის.“ – თელავი, ქალი, 26, დაოჯახებული, სტუდენტი

# განწყობები ევროკავშირის მიმართ



- ▶ ევროკავშირის მიმართ განწყობები უმეტესად დადებითია
  - ▶ მონაწილეთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ევროკავშირი სტაბილური ერთობაა და ის დიდ და მნიშვნელოვან როლს თამაშობს. თუმცა ვერ აკონკრეტებენ, თუ რა როლს;
  - ▶ ევროკავშირის წევრობა - ეკონომიკური სარგებელი, მოგზაურობა, განათლების მიღების შესაძლებლობა
  - ▶ ევროკავშირი ასოცირდება პროგრესთან და განვითარებასთან, როგორც პრო-დასავლურ, ასევე პრო-რუსული შეხედულებების მქონე მონაწილეებში;
  - ▶ მაგრამ, ევროკავშირის საქმიანობის და ზოგადად ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობასთან გვაქვს საქმე
    - ▶ ახალქალაქში მონაწილეებს უჭირდათ ევროკავშირის სარგებელზე საუბარი; ამბობდნენ, რომ მხოლოდ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მერე ჩამოუყალიბდებათ აზრი ევროკავშირის სარგებელზე
- ▶ პოპულარული მოსაზრება: საქართველო არ არის მზად ევროკავშირისთვის;
  - ▶ მაგალითი: თუ ახლა ევროკავშირში შევალთ, ჩვენი პროდუქცია/ქარხნები ვერ დააკმაყოფილებს მის სტანდარტებს და დაიხურება;

# განწყობები ევროკავშირის მიმართ



დიდი ბრიტანეთის გამოყოფა: უმრავლესობას სმენია ამის შესახებ;

- ▶ ბრიტანეთის ევროკავშირიდან გამოყოფა აღიქმება როგორც კარგი მოვლენა ბრიტანეთისთვის და ცუდი - ევროკავშირისთვის
- ▶ მონაწილეებს უჭირდათ კონკრეტულად ჩამოეყალიბებინათ, თუ რატომ იყო გამოსვლა ბრიტანეთისთვის სასარგებლო. ამბობდნენ, რომ ისეთ ბრძენ და მოწინავე ქვეყანას, როგორც ბრიტანეთია, ექნებოდა თავისი მზეზები
- ▶ „თავის საქმის თვითონ იციან“



# ციტატები

- ▶ „ძალიან ძლიერი [არის ევროკავშირი] იმიტომ, რომ თითქმის ყველა, თითქმის არა, ყველა ევროკავშირის ქვეყნები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ეკონომიკურად. გადაბმულები არიან, აი ზუსტად ეს არის, რომ გინდა არ გინდა ერთად დგანან იმიტომ, რომ ერთს რაღაც დაემართება, გამოეთიშება მეორეზე მოქმედებს...“ - თბილისი, ქალი, 21, დაუოჯახებელი, სტუდენტი
- ▶ „თუ შევალთ ოდესმე, კარგია. ნუ სავარაუდოთ მალე შევალთ. ბევრი უცხოელი ინვესტორი ჩამოდის წინა წლებთან შედარებით. უფრო მეტი და მეტი ჩამოდისა, ინვესტორები ჩამოდიან ბევრი ევროპის ქვეყნებიდან და რაღაც ვარაუდის დონეზე მაინც ახლო მომავალში შევალთ. ესე, უაზრო ქვეყანაში არ დებენ ინვესტიციებს.“ - თელავი, კაცი, 23, დაოჯახებული, დასაქმებული
- ▶ „სტანდარტებს ნერგავს [ევროკავშირი], არა მხოლოდ პოლიტიკურ, უფრო ეკონომიკურ სტანდარტებს. იგივე პროდუქციის ხარისხი, ეს ვაჭრობის სტანდარტები „- ბათმი, ქალი, 33, დაოჯახებული, დასაქმებული
- ▶ „ჩვენნაირი ხალხისთვის, ჩვეულებრივი ხალხისთვის მე ვფიქრობ, რომ დიდი არაფერი არ შეიცვალა მაგ ვიზა ლიბერალიზაციით.“ - თბილისი, კაცი, 25, დაუოჯახებელი, დაუსაქმებელი

# დამოკიდებულებები ევროპული ქვეყნებისა და ევროპელების მიმართ

ევროპელ ხალხს ძირითადად დადებითი ან ნეიტრალური თვისებებით ახასიათებდნენ;

- ევროპელები არიან: კანონმორჩილნი, პუნქტუალურები, მოწესიგებულები, პატივს სცემენ სუფთა გარემოს, ღირსეული ხალხი;
- მონაწილეები ხაზს უსვამდნენ თუ როგორ (ქართველებისგან განსხვავებულად) ექცევიან შვილებს; უბიძგებენ იყვნენ უფრო დამოუკიდებლები (მონაწილეებს მოსწონთ ეს);
- რა არ მოსწონთ ევროპელებში: ცივები არიან პირად ურთიერთობებში;

ზოგადად, მონაწილეებს მოსწონთ ის ღირებულებები და თვისებები, რომლითაც აღწერენ ევროპელებს. თუმცა, ფიქრობენ რომ ისინი ძალიან განსხვავდებიან ქართველებისგან

ყველაზე ხშირად ნახსენები ქვეყნები: გერმანია და საფრანგეთი;

გერმანელები: ამაყები, პუნქტუალურები, კარგი ექიმები;

ფრანგები: განვითარებულები, გვერდში უდგანან ერთმანეთს;



# დამოკიდებულებები ევროპული ქვეყნებისა და ევროპელები მიმართ

ეთნიკური უმცირესობების შეხედულებები:

- ▶ ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების მონაწილეებს არ ჰქონდათ ვრცელი წარმოდგენა ევროპელი ხალხის შესახებ, თუმცა გააქვრებული მოსაზრებები უმეტესად პოზიტიური იყო;
- ▶ მარნეულში, კაცების ჯგუფში, გაუჭირდათ ევროპელების შესახებ შეხედულებების ჩამოყალიბება, რადგან „არასდროს ჰქონიათ მათთან შეხება“;
- ▶ რამდენიმე მონაწილემ თქვა, რომ არ მოსწონთ ევროპაში მეუღლეებს შორის დიდი ასაკობრივი სხვაობა
- ▶ სომხურ ეთნიკურ ჯგუფებში, არ მოსწონთ, რომ ევროპაში ყველა რელიგიას ერთნაირი უფლებები აქვთ
- ▶ ახალქალაქში არ მოსწონთ მოხუცებულების სპეციალურ დაწესებულებებში მიბარების პრაქტიკა;
- ▶ ქალების ჯგუფში ევროპელები აღწერეს როგორც: „თავისუფალი, კულტურული ხალხი; სადაც აქვთ გენდერული ბალანსი“;



# უვიზო მიმოსვლა ევროკავშირთან

- ▶ მონაწილეები ზოგადად მხარს უჭერენ უვიზო მიმოსვლას;
- ▶ თუმცა:
  - ▶ ხშირად გაჟღერებული მითია, რომ უვიზო მიმოსვლით რომ ისარგებლო, საბანკო ანგარიშზე რამდენიმე ათასი ევრო უნდა გედოს;
  - ▶ ბევრმა მონაწილემ უმცირესობათა ჯგუფებში არ იცოდა უვიზო რეჟიმის შესახებ;
  - ▶ **ზოგადი განწყობა:** უვიზო მიმოსვლა სარგებელს ვერ მოუტანს ადამიანების უმეტესობას, რადგან ბევრი ფინანსურად ვერ გასწვდება მოგზაურობას ;

# რომელი ქვეყანა წარმოადგენს ყველაზე დიდ საფრთხეს საქართველოს უსაფრთხოებისთვის? რატომ?

- ▶ რუსეთი: იმიტომ, რომ დამპყრობელია; რუსული ჯარები;
- ▶ თურქეთი: ეკონომიკური მიზეზების გამო;
  - ▶ მონაწილეები ამბობდნენ, რომ თურქებს ბევრი ბიზნესი აქვთ საქართველოში და ქართველებს „საკუთარ მიწაზევე იმონებენ“;

ციტატა: „ესეიგი იმათთვის არის ის ცხოვრების დონე ჩვენ ქვეყანაში [თურქები, ირანელები], მაგრამ ჩვენთვის არ არის სამწუხაროდ იმიტომ, რომ ისინი დასაქმდნენ ჩვენ ქვეყანაში. მშვენივრად აიწყეს ბიზნესი და ჩვენ ვართ უმუშევრები. ფაქტიურად ჩვენ ქვეყანაში ვართ მომსახურე, უცხოელების მომსახურე პერსონალი.“ - თბილისი, ქალი, 47, დაოჯახებული, დაუსაქმებელი

ციტატა: „ყველაზე დიდს [საფრთხეს წარმოადგენს] რუსეთი, მერე თურქეთი. ნახევარზე მეტი [ქვეყნის ტერიტორია] ოკუპირებული აქვს [რუსეთს] და რაღაც გინდა ლაპარაკი რატო. [თურქეთს რაც შეეხება] ისტორია მე მგონი ყველამ ვიცით, რაც იყო და როგორც იყო, მეორდება უკვე, ბათუმი თურქების არის, ფული აქვთ და გვიმონებენ ყველანაირად“- თბილისი, კაცი, 25, დაუოჯახებელი, დაუსაქმებელი

# რომელი ქვეყანა უზრუნველყოფს საქართველოს უსაფრთხოებას ყველაზე უკეთ? რატომ?

## ▶ აშშ:

- ▶ ეხმარება საქართველოს სამხედრო თვალსაზრისით;
- ▶ აშშ დაინტერესებულია ამ რეგიონით და გამომდინარე აქედან, იცავს საქართველოს;
- ▶ აშშ-ს უკავშირებენ ნატო-ს;

## ▶ ნატო:

- ▶ ნატო-ს მიმართ დამოკიდებულებები უმეტესად დადებითი ან ნეიტრალურია (უმცირესობების ჯგუფების გარდა);
- ▶ მონაწილეებს უფრო მეტად ჩამოყალიბებული პოზიცია აქვთ ნატო-ზე, ვიდრე ევროკავშირზე, რადგან ნატო-ს მანდატი უფრო მეტად გასაგებია;

ციტატა: „ზოგადად მაქვს კარგი განწყობა [ნატო-ს მიმართ], მაგრამ არ მაქვს განცდა, რომ როგორც კი საფრთხე იქნება, ეგრევე მოვლენ ჩვენს გამო [საშველად].“ – ბათუმი, ქალი, 44, დაუოჯახებელი, დასაქმებული

ციტატა: „ამ ეტაპზე არ გვაწყობს ნატოში გაერთიანება. ნატოს წევრი ყველა ქვეყანა ვალდებულია ყოველწლიურად შეავსოს ნატოს ბიუჯეტი. საქართველოს ბიუჯეტი ექვს მილიონ ნახევარია, ამჟამად არ გვაქვს ჩვენ იმის ფუფუნება, რომ მოვაკლოთ რაღაცას და ამ ფულიდან შევავსოთ ნატოს ბიუჯეტი. ნატოში შესვლით ჩვენი ბიუჯეტი დაზარალდება.“ – ბათუმი, კაცი, 36

# ციტატები

- ▶ „ის [რუსეთი] გეუბნება, დაანებე ამ შენ ნატოს თავი. არა, შენ ამბობ ნატო გინდა, გინდა და ხუთ ხუთი მეტრა გადმოაქვს წინ [საზღვარი]“- თბილისი, კაცი, 55, დაოჯახებული, დაუსაქმებელი
- ▶ „იმიტომ დავუჭერდით [მხარს ნატო-ში გაწევრიანებას], რომ ყველაზე დიდი პლიუსი რაც იქნებოდა ეს იქნებოდა უსაფრთხოება სამხედრო. „ – თბილისი, ქალი, 21, დაუოჯახებელი, სტუდენტი
- ▶ „ნატო მანამდე არ შემოვა ტერიტორიული [მთლიანობა არ გვექნება]“ - თელავი, კაცი, 23, დაოჯახებული, დასაქმებული
- ▶ ‘მე ძაან დადებითი დამოკიდებულება მაქვს [ნატო-ს მიმართ]. იმ თვალსაზრისით, რომ ყველა ნატოს წევრ ქვეყანაში, ასე თუ ისე, გარანტირებულია თავდაცვა. ძალიან რთულია ნატოს წევრ ქვეყანას შეეხო ესე მარტივად.“ - თელავი, კაცი, 25, დაუოჯახებელი, დასაქმებული

# ანტი-დასავლური პროპაგანდა

- ▶ შეუძლებელია კონკრეტული დასკვნების გამოტანა;
  - ▶ ჯგუფები გაიყო ორად: ზოგი ამბობდა, რომ რუსული პროპაგანდა არსებობს ; ზოგი ამბობდა, რომ არ არსებობს ან უბრალოდ ვერ ხვდებოდა ამ კონცეფციის და ჩვენი კითხვის აზრს;
- ▶ აღსანიშნავია: იმ ჯგუფებში, რომლებიც შედარები უფრო პრო-რუსული განწყობებით გამოირჩეოდნენ, მონაწილეები ამბობდნენ, რომ რუსული პროპაგანდა არ არსებობს ან უჭირდათ კითხვის გაგება;



# მნიშვნელოვანი მიგნებები: ეთნიკური უმცირესობების ჯგუფები

- ▶ ეთნიკური უმცირესობებისთი განსხვავდებიან სხვა ქალაქებისგან საგარეო პოლიტიკაზე შეხედულებებით
  - ▶ რუსეთთან ურთიერთობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დასავლეთთან;
  - ▶ სურთ უვიზო მიმოსვლა რუსეთთან
  - ▶ მათი ოჯახის წევრები მუშაობენ/ცხოვრობენ რუსეთში;
  - ▶ ფინანსურად არიან დამოკიდებულნი მათზე;
- ▶ ეთნიკურ აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის დიდი სხვაობაა:
  - ▶ ეთნიკურ სომხებს (ქალებსაც და კაცებსაც) მეტი ინფორმაცია და ვრცელი მოსაზრებები ჰქონდათ საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით;
  - ▶ მნიშვნელოვანი განსხვავებები დაფიქსირდა ეთნიკურად აზერბაიჯანელებსა და დანარჩენ ჯგუფებს შორის; სავარაუდოდ რელიგიური და კულტურული განსხვავებების გამო;

# ეთნიკური უმცირესობებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხები

- ❑ რუსეთთან ურთიერთობა
- ❑ ბიუჯეტის დეფიციტი
- ❑ ეთნიკური სომხების მიმართ უკეთესი დამოკიდებულება
- ❑ რუსეთთან გამარტივებული/უვიზო მიმოსვლა
- ❑ სომხეთიდან ყურძნის იმპორტის დაშვება
- ❑ მოსახლეობის თურქეთში გადინება, რაც დემოგრაფიულ პრობლემებს იწვევს (ეთნიკური სომხების ჯგუფები)
- ❑ ქართულის არცოდნის გამო სამსახურის შოვნის პრობლემა
- ❑ ქარხნების და სხვა ინდუსტრიული დაწესებულებების ნაკლებობა
- ❑ უფროსი ასაკის ადამიანები ვერ შოულობენ სამსახურს
- ❑ მიგრაციის კრიზისი (უმცირესობათა რეგიონებიდან მოსახლეობის გადინება)

# ციტატები

- ▶ „ევროკავშირი რა თქმა უნდა ძლიერი გაერთიანებაა, თავისი სიკეთეებისთვის მოქმედი გაერთიანებაა. საქართველოსთვის არც ისე კარგია, რადგან საქართველო არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს, მანამდე ბევრი დროა საჭირო.“ - მარნეული, ქალი, 29, დაოჯახებული, დასაქმებული
- ▶ „ფაქტია, რომ ჩვენ ყოველთვის რუსეთზე ვიყავით დამოკიდებულები და ჯავახეთიდან ყოველწლიურად 150 000 ადამიანი მიდის რუსეთში სამუშაოდ. მაგრამ ჩემი აზრით, ჩვენ მთლად რუსეთის გავლენის ქვეშ არ უნდა მოვიქცეთ, ჯობია კარგი ურთიერთობები გვქონდეს, მაგრამ ევროკავშირისაკენ მივისწრაფოდეთ, რადგან სხვა შემთხვევაში ჩვენთვის რუსეთი კარგს არაფერს არ მოგვიტანს.“ – ახალქალაქი, კაცი, 22, დაუოჯახებელი, დასაქმებული
- ▶ „ჩემთვის სულ ერთია თუ ვისთან ექნება მჭიდრო კონტაქტები საქართველოს. ჩემთვის მთავარია, რომ ქვეყნის შიგნით ისეთი ღირებულებები არსებობდეს, რომ ჩვენი მეობა არ დავკარგოთ. ეხლა დასავლეთშიც იმდენი ცუდი რამეებია, რომ ნამდვილად არ მინდა, რომ ჩვენთანაც შემოვიდეს. „ – ახალქალაქი, კაცი, 35, დაოჯახებული, დასაქმებული

# მნიშვნელოვანი დასკვნები

- ▶ ადამიანები ბევრ საკითხს (მათ შორის ბევრ მოულოდნელ საკითხს) ეკონომიკურ ჭრილში განიხილავენ - მაგალითად: ეროვნული უსაფრთხოება, დემოკრატია, რუსეთი, სსრკ-ს დაშლა;
- ▶ დადებითი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ ემყარება იმას, რომ:
  - ▶ რუსეთში (მონაწილეების აზრით) კარგი ეკონომიკური მდგომარეობაა, დასაქმებაა (მეგობრები, ოჯახის წევრები), ცხოვრების უკეთესი დონეა შესაბამისად, რუსეთთან ახლო ურთერთობა ჩვენს ეკონომიკას და კეთილდღეობას გააუმჯობესებს;
  - ▶ პუტინი კარგი ლიდერია თავისი ხალხისთვის; შესაბამისად, თუკი დავუმეგობრდებით, აღარ განახორციელებს ჩვენზე სამხედრო აგრესიას; (კიდევ ერთი არგუმენტი - ნატო-ში წევრობა რუსეთს გააღიზიანებს და საქართველოს საფრთხე დაემუქრება)
  - ▶ ეთნიკურ უმცირესობებში, ზოგადად, რუსეთისადმი უფრო დადებითი განწყობებია - რაც მთლიანად ეკონომიკითაა განპირობებული; საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაცია და ნორმალური ეკონომიკური პირობებია მათვის ყველაზე მნიშვნელოვანი და არა პრო-რუსული კურსის გატარება
- ▶ საქართველოში ევროკავშირის მხარდაჭერისთვის მყარი საფუძველი არსებობს;
  - ▶ ცხადად ჩანს ინფორმაციის ნაკლებობა და დეზინფორმაციის კამპანიების შედეგები. აუცილებელია ამ საკითხებზე მუშაობა, რათა ეს პოზიტიური ტალღა ევრო-სკეპტიციზმში არ გადაიზარდოს
  - ▶ ევროპელებისადმი დადებითი განწყობების მიუხედავად, მნიშვნელოვანია ავუხსნათ ხალხს, რომ „ისინი“ არც ისე ძალიან განსხვავდებიან „ჩვენგან“